ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერიის აპარატი

N 25/12550 25/07/2016 12550-25-2-201607251654

ფაქტ-მეტრის რეგიონალურ ანალიტიკოსს-
ქალბატონ მ. მერკვილაძეს

ქალბატონო მაია,

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული თქვენი 2016 წლის 08 ივლისის №21231/25 განცხადების პასუხად, გაცნობებთ, რომ ზემოაღნიშნული განცხადება გადაგზავნილი იქნა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის სამსახურში ინფორმაციისა და დოკუმენტაციის მოძიების მიზნით.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის 2016 წლის 14 ივლისის №13509-25 საპასუხო წერილის საფუძველზე გეგზავნებათ, თქვენი წერილის პირველი და მე-2 პუნქტიით მოთხოვნილი ინფორმაცია.

წერილის მესამე პუნქტთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ ამჟამად მიმდინარეობს ქ. ბათუმის მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის მესამე და მეოთხე ფაზით გათვალისწინებული სამუშაოები. მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულების ვადები განსხვავდება ერთმანეთისაგან, კერძოდ, ეგ.წ. ჭაობის ტერიტორიაზე მიმდინარე წყალარინების სისტემის რეაბილიტაცია დასრულდება 2017 წლის პირველ ნახევარში. 2017 წლის პირველ ნახევარში დასრულდება ჩაქვი-მწვანე კონცხი - მახინჯაურის დასახლებაში მიმდინარე წყლის სისტემისა და ნაწილობრივ წყალარინების სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები. 2017 წლის პირველ კვარტალში დასრულდება გონიოს წყალარინების სისტემის მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოები. 2016 წლის ბოლოს დაიწყება და 2018 წლის პირველ ნახევარში დასრულდება ჩაისუბნის წყლის მაგისტრალური და სამომხმარებლო ქსელი რეაბილიტაცია. 2017 წლის პირველ ნახევარში დასრულდება მიმდინარე ანგისის დასახლების წყლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები. 2018 წლის მეორე ნახევარში დასრულდება მიმდინარე წყლისა და წყალარინების სარეაბილიტაციო სამუშაოები თამარის და ბონი-გოროდოკის დასახლებაში.

რაც შეეხება, მეოთხე ფაზის სამუშაოებს, დღეის მდგომარეობით მიმდინარეობს საპროექტო სამუშაოები, რის შემდეგაც ჩატარდება საერთაშორისო ტენდერი და სამუშაოები განხორციელდება მესამე ფაზის სამუშაოების პარალერულად, რომელიც დასრულდება 2019 წელს. ძირითადად მეოთხე ფაზის სამუშაოები მოიცავს წყალარინების სისტემის რეაბილიტაციას ეგ.წ. სტეფანოვკის, ლუდის ქარხნისა და ანგისის დასახლებაში, ასევე წყლის სისტემის რეაბილიტაციას გონიო-კვარიათის ადმინისტრაციულ ერთეულში.

6010 ლუკა ასათიანის ქ. №25 ტელ: 0 (422) 27 26 09

დღეის მდგომარეობით სამუშაოები მიმდინარეობს დროის გრაფიკის შესაბამისად.

დანართი: 2 ფურცელი.
პატივისცემით,

ნუკრი დეკანაძე

აპარატის უფროსი